სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 11

2019 წ. "18" 03

ქ.თბილისი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის N135 გადაწყვეტილებისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28[7] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
2. სააპელაციო საბჭოს 2019 წლის 18 მარტის N5 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი
გრიგორ ტატიშვილი